ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1718273

ნომერი: AR1280310

თარიღი : 21.01.2015

გაცემის თარიღი : 05.02.2015

გაცნობის თარიღი : 09.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლია წიკლაური პ/ნ 59001007832
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 50 ბ. 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება

  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ხელახლა იქნა განხილული თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს და იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის შორი და ახლო მანძილიდან, სხვადასხვა ხედის ფიქსაციით გადაღებული ფოტოსურათები. ამასთანავე "დამატებითი დოკუმენტაცია"-ს ველში ატვირთეთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა სარეკლამო აბრის განთავსების ადგილის მონიშვნით და გაითვალისწინეთ:

სამსახურს შესაძლებლად კვლავ არ მიაჩნია მსგავსი სახით სარეკლამო აბრის განთავსება, იგი საკმაოდ დიდი გაბარიტული ზომებისაა, გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის გაბარიტული ზომების შემცირება, მხატვრულ–ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრაზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება. რისთვისაც საჭიროა წარმოდგინოთ არსებული სიტუაციის ფოტოსურათზე დამუშავებული განახლებული ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომების (მათ შორის მიწის ზედაპირიდან სარეკლამო აბრის ძირამდე მანძილის) და მასალის მითითებით. გაითვალისწინეთ, რომ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ სივრცეში 2.70 მ-მდე სიმაღლეზე დაუშვებელია შენობის ფასადიდან არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი (თქვენ შემთხვევაში სარეკლამო აბრის) გადმოწევა 0.30 მ-ზე მეტად, ხოლო ზედაპირიდან 2.70 მ-ზე მეტის შემთხვევაში ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან პერპენდიკულარული მანძილი ამ ნიშნებამდე და აბრებამდე უნდა იყოს მინიმუმ 0.8მ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის მიერ უკვე გეცნობათ №1705696 გადაწყვეტილებით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.